05/06/2024

MES 3 24 0000622066

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 24 მაისს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: May 24, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89400099471
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

შპს სიო
გიორგი სიორდია - დირექტორი
სალომე სიორდია - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ნინო ბერძენაძე - პროფესიული გადამზადების პროგრამის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ განმახორციელებელი პირი

შპს ლოტუსი
თეა ებრალიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ლელა ლეჟავა - პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ განმახორციელებელი პირი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ქეთევან ღვანიძე
ირმა ორაგველიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:
1. შპს სიოს „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ /01898/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს ლოტუსის „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ /01906/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს ლოტუსის „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ /01905/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს სიოს „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ /01898/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის № 412574 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 23 აპრილს განახორციელეს ვიზიტი შპს სიოში (ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №72/დ), სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.6 – პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სწავლის შედეგი - ,,ადრეული განათლების სააღმზრდელო პროცესისთვის უსაფრთხო და ეფექტური გარემოს უზრუნველყოფა", რომელიც მოიცავს პირველადი გადაუდებელი დახმარების თემატიკას, რადგან მსმენელმა სრულყოფილად შეძლოს ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, როგორც უსაფრთხო ფიზიკური გარემოს მოწყობით, ასევე ბავშვისათვის პირველადი დახმარების გაწევის გზით ნებისმიერ საჭირო სიტუაციაში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელეთა ზღვრული რაოდენობა 40, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №72/დ.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილებას ერთის მხრივ ასაბუთებს ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების" მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძოდ, ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტის მიხედვით, რომლის თანახმადაც სკოლამდელი დაწესებულებების ვალდებულებაა ჰყავდეთ კვალიფიციური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების დასახული მიზნების მიღწევას.

დაწესებულება პროგრამის განხორციელების საჭიროებად მიიჩნევს ასევე საქართველოს მთავრობის №478 დადგენილების მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრავს 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგის განათლებას. დადგენილების თანახმად აღმზრდელ-პედაგოგის დასაკმაყოფილებელ ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული გადამზადება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთელს ქვეყანაში და მათ შორის იმერეთის რეგიონშიც აღნიშნული მომზადება/გადამზადების პროგრამის მიმართ გაზრდილია მოთხოვნა.

დარგში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ქვეყნის სტრატეგიული მიზნები და შრომის ბაზრის მოთხოვნები ამ მიმართულებით ადასტურებს პროგრამის შემუშავებისა და განხორცილების მიზანშეწონილობას.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია, სწავლის შედეგის დამატებასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნული საკითხის შესწავლა შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში, ამისათვის რეკომენდებულია სწავლის შედეგები „დღის განრიგის შემადგენელი კომპონენტების აღწერა", ,,დღის განრიგის შემუშავება" და ,,მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება" გაერთიანდეს სწავლის შედეგში „კურიკულუმის რაობის გაცნობიერება" და დაკორექტირდეს სახელწოდება, მაგალითად ეწოდოს „კურიკულუმის და გეგმების სააღმზრდელო პროცესში გამოყენება", აღნიშნული სწავლის შედეგის შესასწავლი საკითხების გაზრდიდან გამომდინარე, კვირეული დატვირთვა შესაძლებელია გაიზარდოს 20 საათამდე, ხოლო გამონთავისუფლებული კვირეული დატვირთვა დაეთმოს „ადრეული განათლების სააღმზრდელო პროცესისთვის უსაფრთხო და ეფექტური გარემოს უზრუნველყოფის" შესწავლას. ამით სწავლის შედეგების რაოდენობაც შემცირდება.

დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ნებისმიერი პროგრამის სწავლის დაწყებამდე, მსმენელებს უტარებს ინსტრუქტაჟს, როგორც უსაფრთხოების, ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით, აღნიშნული ინსტრუქტაჟი გრძელდება დაახლოებით ორი დღე და ეთმობა რვა საათი, თუმცა დაწესებულება, შესწავლილი საკითხის დასადასტურებლად არ გასცემს სერთიფიკატს.
პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 11 კვირას, ბოლო კვირა დათმობილი აქვს განმსაზღვრელ შეფასებას. თეორიული კომპონენტი განხორციელდება დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე.
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ, მატერიალურ და სასწავლო რესურსთან დაკავშირებით აღინიშა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 პირი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის ორივე განმახორციელებელთან გასაუბრება, მათ გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.
დაწესებულებას პროგრამის მიზნებისათვის განსაზღვრული აქვს ერთი A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა დაწესებულების სასწავლო გარემო, რის საფუძველზეც დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი ბაღი, კერძოდ, შპს ბაგა-ბაღი ,,ნამცეცა“ და ,,ბეიბი ლენდი“, წარმოდგენილ ხელშეკრულებებში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პარტნიორები იღებენ ვალდებულებას მიიღონ კოლეჯ სიოს პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელები. თითოეული სწავლის შედეგის ფარგლებში განხორციელდება მინიმუმ ერთდღიანი სასწავლო ვიზიტი, სადაც მსმენელები დააკვირდებიან რეალურ სამუშაო გარემოში პროცესის მიმდინარეობას. ორივე ბაღი იღებს ვალდებულებას, სასწავლო ვიზიტებზე მიიღოს ერთდროულად არანაკლებ 20 მსმენელი და გადაანაწილოს ჯგუფებში. პარტნიორი უზრუნველყოფს მსმენელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე, ისინი უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
ასევე აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით, რომლის მიხედვით დაწესებულების ფართი შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მესამე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან; კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის მექანიზმები, მსმენელთა შეფასების წესი, ასევე გაწერილი აქვს სერთიფიკატის და დანართის გაცემის წესი.
ასევე აღინიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას ,,შინმოვლის სპეციალისტი“, რომელზეც რვა მიღება განხორციელდა და გაიცა 77 სერთიფიკატი. დასაქმების მაჩვენებელი 81% (ერთიანი დასაქმების მიხედვით).
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნული სწავლის შედეგის დამატება ხომ არ გამოიწვევდა პროგრამაში საკონტაქტო საათების გაზრდას, რაზეც დარგის ექსპერტმა

განაცხადა, რომ აღნიშნული სამი შედეგი კურიკულუმის ნაწილია, შესაბამისად არ საჭიროებდა პროგრამაში მითითებული საათების რაოდენობას, სწორედ ეს გამოთავისუფლებული საათები საკმარისი იქნებოდა რეკომენდაციის დროს აღნიშნული სწავლის შედეგის სწავლებისთვის, შესაბამისად პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა იგივე დარჩებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იზიარებდა თუ არა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება.
დაწესებულების წარმომადგენელი სალომე სიორდია მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და საბჭოს აპარატის წარმომადგენლს ნაყოფიერი და თანამშრომლობითი ვიზიტისთვის და განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებს საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, იქიდან გამომდინარე, რომ კოლეჯის განმახორციელებელი პერსონალი მედიკოსები არიან, მათ გააზრებული აქვთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება, აქედან გამომდინარე, დაწესებულებაში, პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის დაწყებამდე ტარდება უსაფრთხოების და პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები, ვინაიდან დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ასევე კვალიფიციური კადრი, რომელსაც პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები აქვს გავლილი გერმანიაში, აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, ეს ორი პირი იქნება ჩართული ამ ტრენინგების ჩატარების პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად იქნება საკმარისი 8 საათი, რომელიც დაგეგმილია ამ ტრენინგის განსახორციელებლად, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ ტრენინგებისა, მათ გაიზიარეს დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და შესაბამისად გათვალისწინებული იქნება.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევდა პროგრამაში ასახული დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია პროგრამის პარამეტრების ცვლილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა და დარგის ექსპერტმა განაცხადეს, რომ არ გამოიწვევდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ მიზანშეწონილია სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეტანილ იქნას ცვლილებები პროგრამაში და შესაბამისად წარმოდგენილი იქნას ცენტრში შეცვლილი პროგრამა.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სიოს „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ /01898/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სიოს (ს/კ: 212797945) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში /01898/ **(დანართი 1)**.

2. შპს ლოტუსის „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ /01906/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ლოტუსის „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ /01905/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

დარგის ექსპერტმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ორივე საკითხთან დაკავშირებით ერთად წარმოადგენდა პრეზენტაციას, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა.

წარმოდგენილი საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 16 აპრილის №433270 და №433271 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2024 წლის 1 და 2 მაისს განახორციელეს ვიზიტი შპს ლოტუსში, მისამართზე ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27გ.

ვიზიტის დროს ორივე პროგრამის შემთხვევაში გამოვლინდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო

დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური არ არის, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევა 2 კვირაში შეუძლებელია, ასევე საათების რაოდენობა (32 საათი) არ არის საკმარისი სწავლის შედეგების მისაღწევად.
ასევე გაიცა რეკომენდაციები 1.6 და 1.8 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
რეკომენდებულია აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ სწავლის შედეგების ფორმულირება დაკორექტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით
რეკომენდებულია სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით იყოს მრავალფეროვანი, კერძოდ დაემატოს შემდეგი სწავლების მეთოდები - ინსტრუქტაჟი, როლური თამაშები, შემთხვევის ანალიზი.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ - პროგრამების სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამების ხანგრძლივობა კვირეებში - 2, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10-10, პროგრამების განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27გ.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ესთეტიკური მედიცინის სპეციალისტების მიმართ ინტერესი საქართველოს ბაზარზე, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში ძალიან მაღალია, განსაკუთრებით დიოდური და ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის სპეციალისტებზე. აღნიშნული მოთხოვნა განაპირობა ესთეტიკური მედიცინის სფეროს დღითიდღე მზარდმა და განვითარებადმა ტემპმა. ჯანდაცვის პროფესიონალებისა და პაციენტების მზარდმა ინფორმირებულობამ ესთეტიკური მედიცინის სარგებლობის შესახებ, დადებითად იმოქმედა ბაზრის ზრდაზე.
არაერთი კვლევის თანახმად მტკიცდება, რომ დამსაქმებელთა სრული უმრავლესობა, ითვალისწინებს რა ბაზარზე მაღალ კონკურენციას, ეძებს კვალიფიციურ კადრს, არა მხოლოდ თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული უნარებით. ასეთ ხარისხს კი კანდიდატი მხოლოდ შესაბამისი ხარისხის ორგანიზაციაში მიაღწევს. ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლოტუსი“ უკვე 12 წელზე მეტია აქტიურად და წარმატებულად ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე.
შპს ლოტუსი, როგორც ესთეტიკური მედიცინის ცენტრი დაარსდა 2010 წელს, 14 წელია ოპერირებს ქართულ ბაზარზე. ფილიალები წარმოდგენილია ქალაქის ცენტრალურ უბნებში და მომხმარებლებს სთავაზობს თანამედროვე ესთეტიკური მედიცინის მსოფლიოში აპრობირებულ, წამყვან მეთოდებს. 2018 წლიდან აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო საქმიანობაში, არაფორმალურად ახორციელებს ტრენინგებს/ მოკლევადიან პროგრამებს ლაზერული ეპილაციის კუთხით. შესაბამისად კომპანია აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

კომპანიაში გამოიყენება ესთეტიკური მედიცინის სფეროში დანერგილი სრულიად მოდერნისტული მეთოდები და პროცედურები, რომლებიც სისტემატურად ახლდება და იხვეწება. ასეთი გამოცდილი და სრულყოფილი სამუშაო ბაზა იდეალური გარემოა პროფესიული მომზადების პროგრამის ხარისხიანად ჩატარებისთვის და არა მხოლოდ თეორიული კომპონენტის, არამედ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.
წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამების შინაარსს, სახელწოდება ორივე პროგრამის შემთხვევაში არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ მომზადებას.
პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
კომპანიას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები“. აღნიშნული დოკუმენტის მე-10 მუხლში გაწერილია, თუ როგორ ხდება აპლიკანტების მიღება.
ორივე პროგრამის შემთხვევაში განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს **მე-3 დონეს**.
წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, როგორც ზემოთ აღინიშნა ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია.
ასევე გაიცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესში გამოყენებულ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, კერძოდ სასურველია სწავლების მეთოდებს დაემატოს შემდეგი სწავლების მეთოდები - ინსტრუქტაჟი, როლური თამაშები, შემთხვევის ანალიზი.
წარმოდგენილი პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
პროფესიული მომზადების პროგრამების ფარგლებში მოთხოვნილია 10-10 მსმენელი, აღნიშნული ეფუძნება შპს ლოტუსის ინფრასტრუქტურას, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართს და მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ჯგუფის სწავლების პროცესში ჩართულია 3 სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი.
პროგრამის სწავლებისთვის გამოყოფილია ერთი A და ერთი C გარემო.
კომპანიაში შემუშავებულია დოკუმენტი - პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისა და მსმენელთა შეფასების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს №23/082 ბრძანებით. დოკუმენტის მე-4 მუხლი არეგულირებს მსმენელების შეფასებას. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის მსმენელთა შეფასება ეფუძნება მხოლოდ ჩათვლის პრინციპის (კომპეტენციების დადასტურების) სისტემის გამოყენებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 3 განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით. სამი განმახორციელებელი პირიდან ერთი არის დერმატოლოგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გააკონტროლებს ეპილაციის პროცესს, სხვადასხვა გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და C სასწავლო გარემო, A გარემოში განთავსებულია 10 მსმენელისთვის სამუშაო ადგილი, 1 ადგილი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის. C სასწავლო გარემოში განთავსებულია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა. ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და დადგინდა, რომ C სასწავლო გარემოში შესაძლებელია ერთდროულად განთავსდეს 5 მსმენელი.

სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. პროგრამის დოკუმენტის სასწავლო რესურსი, სადაც მითითებულია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, ასევე ინტერნეტ რესურსები.

ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ შემუშავებული აქვთ განმახორციელებელ პირებს პრეზენტაციები, ასევე ჰენდაუთები, რომელიც მიეწოდება მსმენელებს საჭიროების მიხედვით. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება კომპეტენტური ორგანოს მიერ შემუშავებული და გაცემული დასკვნით შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი წესით. კომპანია შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს აწვდის ინფორმაციას შერჩევის პროცედურის შესახებ. აპლიკანტებთან გასაუბრება ხორციელდება მოტივაციური ინტერვიუს კითხვების მეშვეობით. მაქსიმალური საკონკურსო ქულაა - 18 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 6 ქულა. საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება კომპანიის დირექტორის ბრძანებით.

შპს ლოტუსი წლებია ახორციელებს ლაზერული ეპილაციის პროგრამებს არაფორმალურად, ორგანიზაციას აქვს ვებგვერდი https://school.lotus.ge , ფეისბუკი https://www.facebook.com/Lotus MedCenter და ინსტაგრამი https://www.instagram.com/lotusaesthetics . კომპანია თავისი მიღწევებისა და სიახლეების შესახებ საზოგადოებას მუდმივად აწვდის ინფორმაციას ვებგვერდის და სოციალური ქსელების საშუალებით.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კომპანიის მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.

რაც შეეხება 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არ არსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

ნანი დალაქიშვილმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა დარგის ექსპერტს კვირეულ დატვირთვასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამები ორკვირიანია, რამდენი საათია კვირეული საათობრივი დატვირთვა, რაზეც დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კვირეული საათობრივი დატვირთვა გადანაწილდებოდა შემდეგნაირად, კვირაში 16 საათი ოთხი კვირის განმავლობაში, ხოლო ყოველ დღე 4 საათი დაეთმობოდა სასწავლო პროცესს, რაც ასევე დააზუსტა დარგის ექსპერტმა.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს და კომპანიის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ როგორ მოხდებოდა 10-10 მსმენელის გადანაწილება, ვინაიდან პრეზენტაციაში მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულ მეცადინეობაზე ერთ ჯგუფში მხოლოდ 5

მსმენელის მიღება იყო შესაძლებელი, რაზეც აღინიშნა, რომ მონაცვლეობით მოხდებოდა 5-5 მსმენელისთვის პრაქტიკული მეცადინეობის განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გამოეთქვა მოსაზრება დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზთან და გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და საბჭოს აპარატის წარმომადგენელს ნაყოფიერი და თანამშრომლობითი ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ იზიარებდნენ ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზს და გაცემულ რეკომენდაციებს და დასძინა, რომ უკვე დაიწყეს მუშაობა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლოტუსის „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ 01906/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლოტუსს (ს/კ: 404878156) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - დიოდური ლაზერით ეპილაცია /01906/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლოტუსის „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ /01905/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლოტუსს (ს/კ: 404878156) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია /01905/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:06 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01898	სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში	გადამზადება	მეხუთე	11	ქართული	40	ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №72/დ